კონტრაქტის დამატება #1

კონტრაქტის ნომერი: IBRD/RDP/CW/NCB/31-2014

ქ. თელავში ქეთევან წამებულის ქუჩაზე არსებული "თელავის ხევი"-ს რეაბილიტაცია

(შემდგომში "კონტრაქტი")

წინამდებარე კონტრაქტის დამატება #1 (შემდგომში "კონტრაქტის დამატება #1") გაფორმდა

2015 წლის 28 მაისს

ერთის მხრივ **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა**

(შემდგომში "დამკვეთი"), რომლის მისამართია: დ. აღმაშენებლის გამზ. #150, ქ. თბილისი

და

მეორეს მხრივ **შპს საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია „სერპანტინი"-ს**

(შემდგომში "კონტრაქტორი"), რომლის მისამართია: ფალიაშვილის ქ#27, ქ. თელავი, საქართველო შორის

საზედამხედველო კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა ცვლილებათა ბრძანება, რომლის თანახმად საკონტრაქტო ღირებულება იზრდება 147,659,89 ლარით და მცირდება 52,932.44 ლარით. შედეგად, საკონტრაქტო ღირებულება იზრდება 94,727.45 ლარით (ცვლილებათა გამომწვევი დეტალური მიზეზები აღწერილია თანდართულ ცვლილებათა ბრძანებაში და ხაჯთაღრიცხვაში).

ზემოაღნიშნული ცვლილებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისთვის საზედამხედველო კომპანია რეკომენდაციას უწევს კონტრაქტორს სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვროს 2015 წლის 9 აგვისტო.

შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. კონტრაქტის ფასი 1,108,914.99 ლარი გაიზარდა 94,727.45 ლარით და შესაბამისად კონტრაქტის ფასმა შეადგინა **1,203,642,44 (ერთი მილიონ ორას სამი ათას ექვსას ორმოცდაორი და 44/100)** ლარი დღგ-ს ჩათვლით;

2. კონტრაქტის კონკრეტული პირობების ქვე-მუხლი - კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ზ)
"მთლიანი სამუშაოების დასრულების დაგეგმილი თარიღი: 2015 წლის 9 ივნისი"
შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
"მთლიანი სამუშაოების დასრულების დაგეგმილი თარიღი: 2015 წლის 9 აგვისტო"

3. კონტრაქტის კონკრეტული პირობების 50.1 პუნქტის თანახმად, კონტრაქტორმა წინამდებარე კონტრაქტის დამატება #1 ხელმოწერიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენა კონტრაქტის ფასის **10%-ის** ოდენობით, რომელიც ძალაში იქნება **2015 წლის 6 სექტემბრის** ჩათვლით;

4. წინამდებარე კონტრაქტის დამატება #1 წარმოადგენს 2014 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული No: IBRD/RDP/CW/NCB/31-2014 კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს;

5. წინამდებარე კონტრაქტის დამატება #1 ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან.

დამკვეთი _____ ილია დარჩიაშვილი სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი	კონტრაქტორი _____ ზურაბ ფეიქრიშვილი შპს საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია „სერპანტინი"-ს დირექტორი